

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2014-2017 წწ.)

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა

აკრედიტაციის პროცესების მართვა და განვითარება

პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები 2014-2017წწ.

პრიორიტეტის დასახელება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

აკრედიტაციის ცენტრის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაციის სამუშაოების წარმართვა იმ სფეროებში, სადაც შესაბამისობის შეფასება კანონმდებლობით რეგულირებულია და იქ სადაც ნებაყოფლობითია. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე პროდუქციის შესაბამისობის შეფასების სფეროში მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, ასევე, უცხოურ ბაზრებზე ტექნიკური ბარიერების დამლევისათვის საჭიროა ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ზრდა, რისთვისაც აუცილებელია განხორციელდეს ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის, მათ შორის აკრედიტაციის სისტემის განვითარება და მისი საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებთან ეტაპობრივი დაახლოება. კერძოდ, უნდა განხორციელდეს: აკრედიტაციის სისტემის სრულად წარმართვა აკრედიტაციის საერთაშორისო მოთხოვნების და პრაქტიკის შესაბამისად, რის შედეგად აკრედიტაციის ცენტრი მიზნად ისახავს, აკრედიტაციაში ევროპული და საერთაშორისო მოთხოვნების იმპლემენტაციის გზით გახდეს EA-ს სრულყოფილი წევრი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების წარმატებულ რეალიზაციას.

აღნიშნული პრიორიტეტების განხორციელების მიზნით აკრედიტაციის ცენტრი გეგმაზომიერად ახორციელებს აკრედიტაციის სისტემის სრულყოფას აკრედიტაციის საერთაშორისო მოთხოვნების და პრაქტიკის შესაბამისად. ცენტრმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები აკრედიტაციის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გასაძლიერებლად. შედეგად, 2011 წლის ნოემბერში აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას ასოცირებულ წევრობაზე, რომლის ფარგლებშიც გრძელდება მუშაობა EA-ს ლაბორატორიის, ინსპექტირების და სერტიფიკაციის ტექნიკურ კომიტეტებში და EA-ს ყოველწლიურ გენერალური ასამბლეის საქმიანობაში. აკრედიტაციის საერთაშორისო მოთხოვნების თანახმად სრულად ფუნქციონირების მიზნით, TWINNING-ის პროექტის „Strengthening Accreditation Infrastructure according the Best Practice in The EU Member States“ ფარგლებში მიმდინარეობს ქართულ ენაზე მომზადებული ISO სტანდარტების, EA ILAC, IAF-ის სახელმძღვანელო დოკუმენტების იმპლემენტაცია აკრედიტაციის პრაქტიკაში, ასევე აკრედიტაციის ცენტრის შემფასებელების და აკრედიტაციის სამუშაოებში ჩართული მოწვეული ტექნიკური შემფასებელების ტრენინგები/სემინარები საერთაშორისო სტანდარტების და EC-ს

დირექტივების შესაბამისად. იმავდროულად, TWINNING-ის პროექტში ჩართული ევროპელი ექსპერტების რეკომენდაციების, EA-ს ტექნიკურ კომიტეტებში მიღებული გამოცდილების და აკრედიტაციის საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, აკრედიტაციის ცენტრმა შეიმუშავა და საქართველოს კანონის „პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, თავი X, მუხლი 103, პუნქტი 8, შესაბამისად, ცენტრის გენერალურმა დირექტორმა 2012 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით დაამტკიცა აკრედიტაციის ახალი წესები და პროცედურები (12 პროცედურა), რომლებიც ხელმისაწვდომია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ვებ-გვერდზე და აკრედიტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე: www.gac.gov.ge

აკრედიტაციის ცენტრის განვითარება და საერთაშორისო მოთხოვნების იმპლემენტაცია გეგმაზომიერად ხორციელდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ შემუშავებული და გენერალური დირექტორის განკარგულებით (07.07.2011) დამტკიცებული „აკრედიტაციის ინსტიტუციონალური განვითარების გეგმის“ (IRP – Institucional Reforme Plan) შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2010 წლის 16 ივლისს დამტკიცებული „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგიის“ და 2010 წლის 25 აგვისტოს „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმებისა და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის“ თანახმად. უნდა აღინიშნოს, რომ „აკრედიტაციის ინსტიტუციონალური განვითარების გეგმა“ წარმოადგენს ე.წ. „ცოცხალ“ დოკუმენტს და მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია საჭიროების წარმოქმნის შესაბამისად. „აკრედიტაციის ინსტიტუციონალური განვითარების გეგმის“ თანახმად 2014-2017წწ. (საშუალოვადიანი) აკრედიტაციის ცენტრის მიერ დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- CIB (Comprehensive Institutional Building) პროგრამის ფარგლებში აკრედიტაციის ინპრასტრუქტურის (IT system) განვითარება. აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზება -2014წ.;
- შესაბამისობის შეფასების ბაზარზე აკრედიტაციის ახალი მიმართულებების შეთავაზება. კერძოდ, საკვალიფიკაციო გამოცდების ჩამტარებელი პირების აკრედიტაციის სქემის შემუშავება საერთაშორისო სტანდარტის ისო/იეკ 17043-ის შესაბამისად - 2014-2015 წწ.;
- აკრედიტაციის ცენტრის პირველი კოლეგიალური შეფასება EA-ს მხრიდან – 2015 წწ.;
- აკრედიტაციის საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან მხარედ გახდომა EA-ს MLA და ILAC-ის ან/და IAF-ის MRA ხელმძღვანელებთან (როგორც მიზანშეწონილია) – 2016-2017 წწ.

პროგრამის აღწერა

საქართველოს ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად შესაბამისობის შემფასებელ პირთა აკრედიტაციის სამუშაოების წარმართვა კანონმდებლობით რეგულირებად და ნებაყოფლობის სფეროებში.

აკრედიტაციის ცენტრის, 2011 წლის ნოემბერში EA-სთან ხელმოწერილი ასოცირებული წევრობის შეთანხმების ფარგლებში, აქტიური მონაწილეობა EA-ს ტექნიკურ კომიტეტების მუშაობაში და ყოველწლიური გენერალური ასამბლეის სამუშაო შეხვედრებში.

აკრედიტაციის სისტემის დახვეწა და მისი ჰარმონიზაცია EA, ILAC, IAF მოთხოვნებთან. აღნიშნულ ორგანიზაციებში ცენტრის ჩართულობის ზრდა, შემდგომში ცენტრსა და EA-თან, ILAC-თან ან/და IAF-თან ხელშეკრულების გაფორმება (როგორც მიზანშეწონილი იქნება ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე).

მოსალოდნელი შედეგები

აკრედიტაციის ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისობის შემფასებელი პირების მოთხოვნის მიხედვით აკრედიტაციის სამუშაოების წარმართვას იმ სფეროებში, სადაც შესაბამისობის შეფასება კანონმდებლობით რეგულირებულია და ასევე იქ სადაც ნებაყოფლობითია.

აკრედიტაციის ცენტრის მხრიდან EA-თან მიზანმიმართული თანამშრომლობის გაგრძელება და აქტიურად მონაწილეობა მის ტექნიკურ კომიტეტებში, ცენტრს შესაძლებლობას აძლევს უფრო სწრაფად დაუახლოვდეს საერთაშორისო მოთხოვნებს. შედეგად უნდა მივიღოთ აკრედიტაციის შედეგების თანმიმდევრული საერთაშორისო აღიარების საფუძვლების შექმნა, რაც ხელს მნიშვნელოვნად შეუწყობს ქართული პროდუქციისათვის ტექნიკური ბარიერების შემცირებას საერთაშორისო ბაზარზე და დაეხმარება საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება/რეალიზაციაში.

შედეგების შესრულების შეფასების კრიტერიუმები

- შესაბამისობის შემფასებელი პირების მოთხოვნის მიხედვით აკრედიტაციის სამუშაოების წარმართვა სფეროებში, სადაც შესაბამისობის შეფასება კანონმდებლობით რეგულირებულია და ასევე იქ სადაც ნებაყოფლობითია, უზრუნველყოფილია აკრედიტაციის ცენტრის მხრიდან.
- აკრედიტებულ პირთა რაოდენობა სხვადასხვა მიმართულებით (საგამოცდო ლაბორატორიები, საკალიბრო ლაბორატორიები, სერტიფიკაციის ორგანოები, ინსპექტირების ორგანოები);
- აკრედიტაციის მენეჯმენტის წესები, პროცედურები და ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ჰარმონიზებულია EA-ის, ILAC-ის, IAF-ის მოთხოვნებთან;
- აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობის (EA) მხრიდან აკრედიტაციის ცენტრის კოლეგიალური შეფასების ჩასატარებელია. მიღებული რეკომენდაციები ცენტრის მიერ შესრულებულია და შესაძლებელია ხელი მოეწეროს ურთიერთაღიარების ხელშეკრულებას.